დამტკიცებულია:
შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის N 01-22 ბრძანებით

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი

თანამედროვე სამყარო, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ სფეროებში ინტენსიური ურთიერთკავშირებით ხასიათდება, რომელიც მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას ახდენს განათლებისა და შრომის ბაზრის დინამიკაზე. ეს პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს უყენებს მოთხოვნას, გადააფასონ საკუთარი სტრატეგიები და მოერგონ დინამიკურ გლობალურ კონტექსტს, რათა უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა და მზაობა საერთაშორისო გამოწვევებისთვის.

ამ კონტექსტში, კოლეჯ "ცხუმ-ეგრისის" ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენს სტრატეგიულ პასუხს გლობალიზაციის მოთხოვნებზე. ის ემსახურება საერთაშორისო პროცესებზე მორგებული, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჩვენი პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საბოლოო მიზანია, აღჭურვოს კურსდამთავრებულები იმ კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო კონტექსტში წარმატებისთვის, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის ხედვას, მისიასა და ღირებულებებს ხარისხიანი, სტუდენტზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი განათლების მიწოდების კუთხით.

საერთაშორისო თანამშრომლობა და საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა აძლიერებს კოლეჯის კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები მზად იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომითი ბაზრისთვის. ინტერნაციონალიზაცია დაგვეხმარება საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზრის დინამიკასთან კიდევ უფრო მეტ ჰარმონიზაციაში, რადგან პატნიორებისგან გავიზიარებთ საუკეთესო პრაქტიკას და ახალ ტენდენციებს.

ინტერნაციონალიზაცია პირდაპირ ემსახურება კოლეჯის მისიის შესრულებას. საერთაშორისო მობილობა და ერთობლივი პროექტები ხელს შეუწყობს სტუდენტების/პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, გააფართოებს მათ ჰორიზონტს და მისცემს უნიკალურ გამოცდილებას. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების შესაბამისობას ევროპულ/საერთაშორისო სტანდარტებთან.
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გამყარებულია კოლეჯის ღირებულებებით და თავის მხრივ, აძლიერებს მათ, რადგან იგი ხელს უწყობს მრავალფეროვანი, ინკლუზიური და ჰუმანური გარემოს შექმნას. საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შეთავაზება განამტკიცებს თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს, რადგან ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს ეძლევა შანსი, ეზიაროს საერთაშორისო გამოცდილებას. ხარისხიანი პროფესიული განათლება კი, მიიღწევა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით და თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯ "ცხუმ-ეგრისის" ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ინტეგრაცია ევროპულ/საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, რაც გულისხმობს კოლეჯის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე;
- ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა პროფესიული მომზადების უნიკალური შესაძლებლობები აღემატება ტერიტორიულ ბარიერებს. აქცენტი გაკეთდება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე, მათ შორის კულტურათაშორისი და ციფრული უნარების გაძლიერებაზე;
- სტუდენტების/პერსონალის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო გამოცდილების მიღების გზით, რაც მოიცავს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;

- უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა, რათა ჩვენმა კურსდამთავრებულებმა შეძლონ მუდმივად განაახლონ ცოდნა და უნარები სწრაფად ცვალებად სამყაროში, საერთაშორისო საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება "შპს ცხუმ-ეგრისი" ეტაპობრივად უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- საერთაშორისო პარტნიორული ქსელის შექმნა/გაფართოება - საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ისე ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან. ასევე, პროფესიული სასწავლებლების საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება.
- უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა, (Erasmus+ და სხვა), სტუდენტების/პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მულტიკულტურული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, ასევე, კულტურათაშორისი უნარების გაძლიერებას.
- სტუდენტებისა და პერსონალისთვის უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის, გაძიერებული სწავლების უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო გარემოში სრულყოფილი კომუნიკაცია.

ამგვარად, კოლეჯ "ცხუმ-ეგრისის" ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვენლოვან კომპონენტს ჩვენი დაწესებულების სტრატეგიული განვითარების ჩარჩოში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კოლეჯის ხედვის, მისიისა და ღირებულებების რეალიზაციას. ამ პოლიტიკის სისტემატური განხორციელება უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო გარემოს უწყვეტ ადაპტაციას გლობალიზებული სამყაროს დინამიკურ მოთხოვნებთან.

ინტერნაციონალიზაცია არ წარმოადგენს მხოლოდ დეკორატიულ ელემენტს, არამედ განათლების ხარისხის ოპტიმიზაციის, კულტურათაშორისი გაგების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ფუნდამენტურ კომპონენტს. შესაბამისად, კოლეჯი "ცხუმ-ეგრისი" გამოხატავს მზადყოფნას, განაგრძოს აქტიური ძალისხმევა ამ პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების სრულფასოვანი განსახორციელებლად, რათა შეინარჩუნოს თავისი პოზიცია, როგორც ერთ-ერთმა წარმატებულმა, ინოვაციურმა და ლიდერმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელსაც ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობით, არსებითი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში.